

**საქართველოს კანონი**

**„აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №37, 30.11.09 მუხ. 276) მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, მხარდაჭერის/ხელშეწყობისა და მოვლის, აგრეთვე ზიანის შემცირების ხელშეწყობა წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

მიხეილ სააკაშვილი